

შპს „მედგრუპ ჯორჯია“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის და ჯგუფის საქმიანობა	13
2. მომზადების საფუძვლები	14
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	16
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	22
5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის შესწორება	22
6. ძირითადი საშუალებები	23
7. მარაგები	24
8. გადახდილი ავანსები	24
9. წმინდა საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	24
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
12. საწესდებო კაპიტალი	26
13. მიღებული სესხები	26
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
15. მიღებული ავანსები	27
16. შემოსავალი	27
17. რეალიზაციის თვითღირებულება	28
18. საოპერაციო ხარჯები	28
19. ზარალი საკურსო სხვაობიდან	29
20. წმინდა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	29
21. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	30
22. ფინანსური რისკის მართვა	30
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	33
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	34

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

(35-ე გვერდიდან)

1. საქმიანობის მიმოხილვა	35
2. განვითარების გეგმები	36
3. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ	36
4. კომპანიის განვითარების ღონისძიებები	37
5. საქმიანობის ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები	38
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ (შემდეგში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები“), რომლებიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან. ასევე, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მათი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ჯგუფისა და კომპანიის 2023 წლის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა შესაბამისად 33,396,578 და 33,404,545 ლარი, კომპანიისა და ჯგუფის 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები უარყოფითია, ხოლო 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდი კომპანიამ და ჯგუფმა დაასრულა (შესაბამისად 2,359,6215 და 2,351,654) ლარის ზარალით. ეს მოვლენები და გარემოებები, სხვა საკითხებთან ერთად, მიგვითითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფისა და კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფისა და კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებსა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული ჩვენი აუდიტორული მოსაზრება არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ ზემოთ მითითებულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების

მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფისა და კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის / კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგებების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიისა და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგებების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია და ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგებები შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე კომპანიისა და ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიისა და ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

31 ივლისი 2024



შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	21,683,912	21,139,267
არამატერიალური აქტივები		14,783	21,683
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,698,695	21,160,950
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,842,677	702,929
გადახდილი ავანსი	8	1,047,443	208,798
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	245,187	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	359,453	1,040,890
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,494,760	2,112,004
სულ აქტივები		25,193,455	23,272,954
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	57,766,468	46,862,428
დაგროვებული ზარალი		(33,396,578)	(31,044,924)
სულ კაპიტალი		24,369,890	15,817,504
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	265,041	273,172
მიღებული ავანსები	15	526,671	389,656
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	9	31,853	38,248
მიღებული სესხი	13	-	6,754,374
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		823,565	7,455,450
სულ ვალდებულებები		823,565	7,455,450
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,193,455	23,272,954

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოდგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	21,683,912	21,139,267
არამატერიალური აქტივები		14,783	21,683
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,698,695	21,160,950
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,842,677	702,929
გადახდილი ავანსი	8	1,047,443	208,798
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	245,187	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	359,453	1,040,890
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,494,760	2,112,004
სულ აქტივები		25,193,455	23,272,954
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	57,766,468	46,862,428
დაგროვებული ზარალი		(33,396,578)	(31,044,924)
სულ კაპიტალი		24,369,890	15,817,504
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	265,041	273,172
მიღებული ავანსები	15	526,671	389,656
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	9	31,853	38,248
მიღებული სესხი	13	-	6,754,374
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		823,565	7,455,450
სულ ვალდებულებები		823,565	7,455,450
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,193,455	23,272,954

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მანა მკერდიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	21,683,912	21,139,267
არამატერიალური აქტივები		14,783	21,683
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,698,695	21,160,950
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,804,764	702,929
გადახდილი ავანსი	8	1,047,443	208,798
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	243,237	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	324,543	1,040,890
ინვესტიციები		45,300	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,465,287	2,112,004
სულ აქტივები		25,163,982	23,272,954
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	57,766,469	46,862,428
დაგროვებული ზარალი		(33,404,545)	(31,044,924)
სულ კაპიტალი		24,361,924	15,817,504
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	241,334	273,172
მიღებული ავანსები	15	526,671	389,656
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	9	34,053	38,248
მიღებული სესხი	13	-	6,754,374
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		802,058	7,455,450
სულ ვალდებულებები		802,058	7,455,450
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,163,982	23,272,954

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	21,683,912	21,139,267
არამატერიალური აქტივები		14,783	21,683
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,698,695	21,160,950
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	1,804,764	702,929
გადახდილი ავანსი	8	1,047,443	208,798
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	243,237	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	324,543	1,040,890
ინვესტიციები		45,300	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,465,287	2,112,004
სულ აქტივები		25,163,982	23,272,954
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	57,766,469	46,862,428
დაგროვებული ზარალი		(33,404,545)	(31,044,924)
სულ კაპიტალი		24,361,924	15,817,504
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	241,334	273,172
მიღებული ავანსები	15	526,671	389,656
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	9	34,053	38,248
მიღებული სესხი	13	-	6,754,374
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		802,058	7,455,450
სულ ვალდებულებები		802,058	7,455,450
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,163,982	23,272,954

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მკა მჭედლოშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	16	4,974,456	6,803,269
გაყიდული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	17	(5,126,698)	(5,304,154)
საერთო მოგება / (ზარალი)		(152,242)	1,499,115
საოპერაციო ხარჯები	18	(2,647,404)	(1,555,726)
საოპერაციო ზარალი		(2,799,646)	(56,611)
ფინანსური ხარჯი	13	(93,125)	(482,207)
წმინდა მოგება საკუთრო სხვაობიდან	19	84,018	754,578
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	6	324,941	225,277
წმინდა არასაოპერაციო მოგება	20	132,158	496,538
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,351,654)	937,575
მოგების გადასახადი	21	-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(2,351,654)	937,575
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,351,654)	937,575

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	16	4,974,456	6,803,269
გაყიდული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	17	(5,126,698)	(5,304,154)
საერთო მოგება / (ზარალი)		(152,242)	1,499,115
საოპერაციო ხარჯები	18	(2,647,404)	(1,555,726)
საოპერაციო ზარალი		(2,799,646)	(56,611)
ფინანსური ხარჯი	13	(93,125)	(482,207)
წმინდა მოგება საკუთსო სხვაობიდან	19	84,018	754,578
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	6	324,941	225,277
წმინდა არასაოპერაციო მოგება	20	132,158	496,538
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,351,654)	937,575
მოგების გადასახადი	21	-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(2,351,654)	937,575
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,351,654)	937,575

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურულიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	16	4,916,542	6,803,269
გაყიდული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	17	(5,109,341)	(5,304,154)
საერთო მოგება / (ზარალი)		(192,799)	1,499,115
საოპერაციო ხარჯები	18	(2,614,110)	(1,555,726)
საოპერაციო ზარალი		(2,806,909)	(56,611)
ფინანსური ხარჯი	13	(93,125)	(482,207)
წმინდა მოგება საკუთრო სხვაობიდან	19	84,018	754,578
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	6	324,941	225,277
წმინდა არასაოპერაციო მოგება	20	131,454	496,538
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,359,621)	937,575
მოგების გადასახადი	21	-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(2,359,621)	937,575
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,359,621)	937,575

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოდგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	16	4,916,542	6,803,269
გაყიდული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	17	(5,109,341)	(5,304,154)
საერთო მოგება / (ზარალი)		(192,799)	1,499,115
საოპერაციო ხარჯები	18	(2,614,110)	(1,555,726)
საოპერაციო ზარალი		(2,806,909)	(56,611)
ფინანსური ხარჯი	13	(93,125)	(482,207)
წმინდა მოგება საკუთროსო სხვაობიდან	19	84,018	754,578
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	6	324,941	225,277
წმინდა არასაოპერაციო მოგება	20	131,454	496,538
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,359,621)	937,575
მოგების გადასახადი	21	-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(2,359,621)	937,575
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,359,621)	937,575

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ზულალტერი / მაცნეპურკლოშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2021		46,862,428	(31,982,499)	14,879,929
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	937,575	937,575
31 დეკემბერი 2022		46,862,428	(31,044,924)	15,817,504
კაპიტალის გაზრდა	12	10,904,041	-	10,904,041
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(2,351,654)	(2,351,654)
31 დეკემბერი 2023		57,766,469	(33,396,578)	24,369,891

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2021		46,862,428	(31,982,499)	14,879,929
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	937,575	937,575
31 დეკემბერი 2022		46,862,428	(31,044,924)	15,817,504
კაპიტალის გაზრდა	12	10,904,041	-	10,904,041
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(2,351,654)	(2,351,654)
31 დეკემბერი 2023		57,766,469	(33,396,578)	24,369,891

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკაშვილიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2021		46,862,428	(31,982,499)	14,879,929
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	937,575	937,575
31 დეკემბერი 2022		46,862,428	(31,044,924)	15,817,504
კაპიტალის გაზრდა	12	10,904,041	-	10,904,041
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(2,359,621)	(2,359,621)
31 დეკემბერი 2023		57,766,469	(33,404,545)	24,361,924

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი


მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი


შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოდგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვებული ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2021		46,862,428	(31,982,499)	14,879,929
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	937,575	937,575
31 დეკემბერი 2022		46,862,428	(31,044,924)	15,817,504
კაპიტალის გაზრდა	12	10,904,041	-	10,904,041
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(2,359,621)	(2,359,621)
31 დეკემბერი 2023		57,766,469	(33,404,545)	24,361,924

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:


 გენერალური დირექტორი - თია გადრანი


 მთ. ბუღალტერი - მკა მჭედუკლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,351,654)	937,575
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	18	1,301,718	1,034,903
მოგება საკუროსო სხვაობიდან	19	(84,018)	(754,578)
ფინანსური ხარჯი	13	93,125	482,207
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	-	171,086
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების უკან დაბრუნება		-	(202,976)
გადახდილი ავანსების ჩამოწერა		63,244	-
მოთხოვნების გაუფასურება / (აღდგენა)	10	(33,010)	172,812
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	20	(324,817)	(225,277)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		(1,335,412)	1,615,752
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		(2,522,471)	(638,162)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(52,789)	(118,818)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(901,889)	(94,184)
შემცირება / (ზრდა) საგადასახადო აქტივებში		(6,395)	206,690
შემცირება სავაჭრო ვალდებულებებში		(37,165)	(37,912)
ზრდა მიღებულ ავანსებში		137,015	279,521
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(4,719,107)	1,212,887
გადახდილი სესხის პროცენტი		(93,125)	(524,049)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საოპერაციო საქმიანობაში		(4,812,232)	688,838
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(553,021)	(491,321)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		421,097	228,652
წმინდა ფულადი სახსრები გასული საინვესტიციო საქმიანობიდან		(131,924)	(131,924)
საფინანსო საქმიანობა			
კაპიტალში შენატანი	12	10,904,041	-
ბანკის სესხის დაფარვა	13	(6,569,253)	(401,572)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საფინანსო საქმიანობიდან		4,334,788	(401,572)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა წლის განმავლობაში		(609,368)	24,597
ფული და ფული ეკვივალენტები 1 იანვარს	11	1,040,890	1,291,480
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	19	(72,069)	(275,187)
ფული და ფული ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	359,453	1,040,890

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგ

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,351,654)	937,575
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	18	1,301,718	1,034,903
მოგება საკუროს სხვაობიდან	19	(84,018)	(754,578)
ფინანსური ხარჯი	13	93,125	482,207
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	-	171,086
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების უკან დაბრუნება		-	(202,976)
გადახდილი ავანსების ჩამოწერა		63,244	-
მოთხოვნების გაუფასურება / (აღდგენა)	10	(33,010)	172,812
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	20	(324,817)	(225,277)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე:		(1,335,412)	1,615,752
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		(2,522,471)	(638,162)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(52,789)	(118,818)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(901,889)	(94,184)
შემცირება / (ზრდა) საგადასახადო აქტივებში		(6,395)	206,690
შემცირება სავაჭრო ვალდებულებებში		(37,165)	(37,912)
ზრდა მიღებულ ავანსებში		137,015	279,521
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(4,719,107)	1,212,887
გადახდილი სესხის პროცენტი		(93,125)	(524,049)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საოპერაციო საქმიანობაში		(4,812,232)	688,838
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(553,021)	(491,321)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		421,097	228,652
წმინდა ფულადი სახსრები გასული საინვესტიციო საქმიანობიდან		(131,924)	(131,924)
საფინანსო საქმიანობა			
კაპიტალში შენატანი	12	10,904,041	-
ბანკის სესხის დაფარვა	13	(6,569,253)	(401,572)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საფინანსო საქმიანობიდან		4,334,788	(401,572)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა წლის განმავლობაში		(609,368)	24,597
ფული და ფული ეკვივალენტები 1 იანვარს	11	1,040,890	1,291,480
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	19	(72,069)	(275,187)
ფული და ფული ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	359,453	1,040,890

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგ

დადასტურებული და წმინდარებულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მკა მჭკურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,359,621)	937,575
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	18	1,301,718	1,034,903
მოგება საკურსო სხვაობიდან	19	(84,018)	(754,578)
ფინანსური ხარჯი	13	93,125	482,207
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	-	171,086
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების უკან დაბრუნება		-	(202,976)
გადახდილი ავანსების ჩამოწერა		63,244	-
მოთხოვნების გაუფასურება / (აღდგენა)	10	(33,010)	172,812
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	20	(324,817)	(225,277)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		(1,343,379)	1,615,752
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		(2,484,553)	(638,162)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(50,840)	(118,818)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(901,889)	(94,184)
შემცირება / (ზრდა) საგადასახადო აქტივებში		(4,196)	206,690
შემცირება სავაჭრო ვალდებულებებში		(60,872)	(37,912)
ზრდა მიღებულ ავანსებში		137,015	279,521
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(4,708,714)	1,212,887
გადახდილი სესხის პროცენტი		(93,125)	(524,049)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საოპერაციო საქმიანობაში		(4,801,839)	688,838
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(553,024)	(491,321)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		421,097	228,652
ინვესტიციები შვილობილში		(45,300)	-
წმინდა ფულადი სახსრები გასული საინვესტიციო საქმიანობიდან		(177,227)	(262,669)
საფინანსო საქმიანობა			
კაპიტალში შენატანი	12	10,904,041	-
ბანკის სესხის დაფარვა	13	(6,569,253)	(401,572)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საფინანსო საქმიანობიდან		4,334,788	(401,572)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა წლის განმავლობაში		(644,278)	24,597
ფული და ფული ეკვივალენტები 1 იანვარს	11	1,040,890	1,291,480
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	19	(72,069)	(275,187)
ფული და ფული ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	324,543	1,040,890

** ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - მაკა მეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,359,621)	937,575
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	18	1,301,718	1,034,903
მოგება საკუროსო სხვაობიდან	19	(84,018)	(754,578)
ფინანსური ხარჯი	13	93,125	482,207
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	-	171,086
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების უკან დაბრუნება		-	(202,976)
გადახდილი ავანსების ჩამოწერა		63,244	-
მოთხოვნების გაუფასურება / (აღდგენა)	10	(33,010)	172,812
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	20	(324,817)	(225,277)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		(1,343,379)	1,615,752
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		(2,484,553)	(638,162)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(50,840)	(118,818)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(901,889)	(94,184)
შემცირება / (ზრდა) საგადასახადო აქტივებში		(4,196)	206,690
შემცირება სავაჭრო ვალდებულებებში		(60,872)	(37,912)
ზრდა მიღებულ ავანსებში		137,015	279,521
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(4,708,714)	1,212,887
გადახდილი სესხის პროცენტი		(93,125)	(524,049)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საოპერაციო საქმიანობაში		(4,801,839)	688,838
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(553,024)	(491,321)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		421,097	228,652
ინვესტიციები შვილობილში		(45,300)	-
წმინდა ფულადი სახსრები გასული საინვესტიციო საქმიანობიდან		(177,227)	(262,669)
საფინანსო საქმიანობა			
კაპიტალში შენატანი	12	10,904,041	-
ბანკის სესხის დაფარვა	13	(6,569,253)	(401,572)
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გასული) საფინანსო საქმიანობიდან		4,334,788	(401,572)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა წლის განმავლობაში		(644,278)	24,597
ფული და ფული ეკვივალენტები 1 იანვარს	11	1,040,890	1,291,480
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	19	(72,069)	(275,187)
ფული და ფული ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	324,543	1,040,890

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს

დადასტურებული და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 ივლისი:

გენერალური დირექტორი - თეა გადრანი

მთ. ბუღალტერი - ნაკამეჭურჭლიშვილი

შენიშვნები 13-34 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანიის და ჯგუფის საქმიანობა

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 205206873.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ილია ოდიშელიძის ქ., N1ბ, თბილისი, საქართველო.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის თამაზ მჭედლიძე.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია ფლობდა შემდეგ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს:

შვილობილი და მეკავშირე	საქმიანობის სფერო	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ღირ-ბა	შესყიდვის / დაარსების თარიღი
შპს ფლაი ველნეს	არ ფუნქციონირებს	100%	საქართველო	შვილობილი	-	24 თებერვალი 2017
შპს ბიოლი	არ ფუნქციონირებს	100%	საქართველო	შვილობილი	-	20 სექტემბერი 2016
შპს ჯეოვიტალითი	გამაჯანსაღებელი მედიკამენტების რეალიზაცია	75%	საქართველო	შვილობილი	-	28 ოქტომბერი 2022
შპს GEORGIAN WELLNESS	არ ფუნქციონირებს	28%	საქართველო	მეკავშირე საწარმო	-	24 აგვისტო 2012

კომპანია და მისი აღნიშნული შვილობილი საწარმოები ერთობლივად მოხსენიებულია მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც „ჯგუფი“.

აღსანიშნავია, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ჯგუფში შემავალ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს ოპერაციები არ აქვს და მათ ბალანსზე აქტივები და ვალდებულებები არ აღირიცხება, შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრით არსებული კომპანიის და ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

კომპანიის და ჯგუფის ძირითად საქმიანობას შეადგენს სამედიცინო-ველნეს თერაპია, სასტუმრო / საბანკეტო მომსახურება. კომპანიის და ჯგუფის სარეგისტრაციო და ფაქტობრივი მისამართია - ქალაქი თბილისი, კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1.

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საკითხებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის და ჯგუფის ფინანსურ

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანიის და ჯგუფის საქმიანობა (გაგრძელება)

მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის და ჯგუფის ფინანსურ მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიამ და ჯგუფმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგებები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბულალტრული აღიჯვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანია და ჯგუფი ერთობლივად დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი:

- კომპანიისა და ჯგუფის აკუმულირებული ზარალი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 33,404,545 ლარსა და 33,396,578 ლარს.
- კომპანიისა და ჯგუფის 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები უარყოფითია.
- 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდი კომპანიამ და ჯგუფმა დაასრულა (2,359,621 და 2,351,654) ლარის ზარალით.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიისა და ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შემასუსტებელი ფაქტორები:

მენეჯმენტმა შეიმუშავა მრავალმხრივი გეგმა აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- კომპანიის დამფუძნებელი გამოთქვამს მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე. კაპიტალში შეტანილი თანხები სრულად ფარავს და 1.726-ჯერ აღემატება დაგროვილ ზარალს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დამფუძნებელმა უნდა შემოიტანოს ჯამში 70,000,000 ლარი ეტაპობრივად (იხ. შენიშვნა 12). აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ განხორციელდა განხორციელდა კატაპილის შევსება (იხ. შენიშვნა 24);
- სამომავლოდ, დაგეგმილია დამატებითი ობიექტების მშენებლობა, მათ შორის სასტუმრო, საცურაო აუზი, ტენისის კორტები და სხვა, რაც თავის მხრივ საგრძნობლად გაზრდის კომპანიის და ჯგუფის შემოსავლებს.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ამ შემასუსტებელი გარემოებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიისა და ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ვალუტა

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2023	2022
1 USD/GEL	2.6279	2.9156
1 EUR/GEL	2.8416	3.0792

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლი გულისხმობს მშობელი კომპანიის მიერ შვილობილის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარს მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

მეკავშირე არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციის მიმღები კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ არ წარმოადგენს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც ჯგუფი კონტროლს მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევას საავსო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია და ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია და ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია და ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია და ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია და ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის და ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტებზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის და ჯგუფის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ და ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ და ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ და ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია და ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშდება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია და ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია და ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (“ECL”) გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია და ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას და ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე
დარეზერვების პროცენტულობა	2%	10%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის და ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია მე-22 შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილ საწარმოში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. კომპანია აფასებს შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის ამოღებადობას მაშინ, როდესაც გაუფასურების ნიშნები არსებობს. გაუფასურების ნიშნები შესაძლებელია შემოსავლების ან ფულადი ნაკადების კლებას ან არსებით უარყოფით ცვლილებებს მოიცავდეს საქმიანობის ქვეყნის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გარემოში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ამოღებადი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია შესაძლებელია გაუფასურდეს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამომავლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შედარდება მათ საბალანსო ღირებულებასთან, რათა დადგინდეს საჭიროა თუ არა მათი ჩამოფასება აღდგენით ღირებულებამდე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია და ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	25
ტერიტორიის გამწვანება	25
აღჭურვილობა და ინვენტარი	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა აქტივები	3-8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია და ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ამორტიზაცია არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში 15%-ით. განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ ამორტიზდება.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. კომპანია და ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა იმ ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომელსაც კომპანია და ჯგუფი ელოდება ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მრავალ-ელემენტარული შეთანხმებების შემთხვევაში, ჯგუფი ინდივიდუალურ მომსახურებებს ცალ-ცალკე აღრიცხავს, თუ ისინი განსხვავებულია (გამიჯვნადია). მთლიანი ანაზღაურება გადანაწილდება ცალკეულ მომსახურებებს შორის ამ მომსახურებების ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის შესაბამისად. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება ფასთა ნუსხის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როგორც ეს ზემოთ შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიამ და ჯგუფმა მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია და ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია და ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია და ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის შესწორება

უკეთესად წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განახორციელა გარკვეული კლასიფიკაციის შესწორება შესადარის ინფორმაციაში, რაც არ ნიშნავს რაიმე შეცდომის გასწორებას ან კორექტირებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია რეკლასიფიკაციები საერთო ეფექტი წინა პერიოდის ინფორმაციაზე:

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

	2022	მაკორექტირებელი შესწორება	2022
საოპერაციო საქმიანობა			
გადახდილი სესხის პროცენტი	-	(524,049)	(524,049)
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი სესხის პროცენტი	(524,049)	524,049	-

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

(კომპანია და ჯგუფი)

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ტერიტორიის გამწვანება	სხვა აქტივები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>								
31 დეკემბერი, 2021	4,169,445	1,315,160	18,688,331	3,307,625	1,287,289	465,745	965,207	30,198,802
შემოსვლა	204,466	328,817	279,554	182,646	104,919	-	65,353	1,165,755
გასვლა	(3,375)	-	(270,405)	-	-	-	-	(273,780)
31 დეკემბერი, 2022	4,370,536	1,643,977	18,697,480	3,490,271	1,392,208	465,745	1,030,560	31,090,777
შემოსვლა	3,037	1,372,555	29,449	376,542	126,892	-	27,995	1,936,470
გასვლა	(96,280)	-	-	-	-	-	-	(96,280)
31 დეკემბერი, 2023	4,277,293	3,016,532	18,726,929	3,866,813	1,519,100	465,745	1,058,555	32,930,967
<i>დაგროვილი ცვეთა</i>								
31 დეკემბერი, 2021	-	-	(3,963,835)	(3,281,492)	(1,185,452)	(121,140)	(470,925)	(9,022,844)
ცვეთის ხარჯი	-	-	(758,931)	(103,904)	(52,997)	(20,194)	(91,960)	(1,027,986)
ჩამოწერა	-	-	99,319	-	-	-	-	99,319
31 დეკემბერი, 2022	-	-	(4,623,447)	(3,385,396)	(1,238,449)	(141,333)	(562,885)	(9,951,510)
ცვეთის ხარჯი	-	-	(753,193)	(184,678)	(109,121)	(20,194)	(228,359)	(1,295,545)
31 დეკემბერი, 2023	-	-	(5,376,640)	(3,570,074)	(1,347,570)	(161,527)	(791,244)	(11,247,055)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>								
31 დეკემბერი, 2022	4,370,536	1,643,977	14,074,033	104,875	153,759	324,412	467,675	21,139,267
31 დეკემბერი, 2023	4,277,293	3,016,532	13,350,289	296,739	171,530	304,218	267,311	21,683,912

სრულად გაცვეთილი მაგრამ კვლავ გამოყენებაში არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,784,733 ლარს (2022: 2,777,934 ლარს). 2023 წლის 31 დეკემბრის მხდომარეობით კომპანიის და ჯგუფის საკუთრებაში არსებული აქტივები არ არის უზრუნველყოფაში არც პირად და არც მესამე მხარის სასარგებლოდ.

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს კოტეჯებს, რომელთა მშენებლობა არ დასრულებულა. კომპანიისა და ჯგუფის მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისთვის შეადგენს 324,941 და 225,277 ლარს. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 96,280 და 3,375 ლარს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. მარაგები

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სამშენებლო მასალები*	1,466,467	282,149
დამხმარე ნაწილები	124,679	46,926
გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის საჭირო მასალები	115,904	68,951
საკვები პროდუქტები	63,330	78,760
ჰიგიენის საშუალებები	39,006	56,255
ტექნიკის ნაწილები	30,175	165,329
საწვავ-საცხები მასალები	610	2,127
წვრილმანი სახარჯი	2,508	2,432
სულ მარაგები	1,842,680	702,929

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სამშენებლო მასალები*	1,466,467	282,149
დამხმარე ნაწილები	124,679	46,926
გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის საჭირო მასალები	77,986	68,951
საკვები პროდუქტები	63,330	78,760
ჰიგიენის საშუალებები	39,006	56,255
ტექნიკის ნაწილები	30,175	165,329
საწვავ-საცხები მასალები	610	2,127
წვრილმანი სახარჯი	2,511	2,432
სულ მარაგები	1,804,764	702,929

(*) როგორც შენიშვნა 6-ში ნახსენებია კომპანია ანხორციელებს კოტეჯების მშენებლობას, რისთვისაც სამშენებლო მასალების შესყიდვას ახდენს საზღვარგარეთიდან. აღნიშნული მასალების თავდაპირველი შემოსვლა ხდება მარაგების კლასიფიკაციით და შემდგომ ფორმა-2 ების საშუალებით გადადის დაუმთავრებელ მშენებლობაზე.

8. გადახდილი ავანსები

(კომპანია და ჯგუფი)

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები *	1,033,523	194,992
სხვა წინასწარ გადახდები	13,920	13,806
სულ გადახდილი ავანსები	1,047,443	208,798

(*) მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები წარმოადგენს მარაგების შესაძენად გადახდილ ავანსებს.

9. წმინდა საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)

კომპანიისა და ჯგუფის საგადასახადო ბალანსი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს: 34,053 და 31,853 ლარის ოდენობით ვალდებულებას და 38,248 ლარის ოდენობის აქტივს.

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშისათვის შემდეგია

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო მოთხოვნები	308,390	255,601
მინუს: გაუფასურების რეზერვი*	(63,203)	(96,214)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	245,187	159,387

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშისათვის შემდეგია

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო მოთხოვნები	306,440	255,601
მინუს: გაუფასურების რეზერვი*	(63,203)	(96,214)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	243,237	159,387

(*) გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილი ქვემოთ (მონაცემები ჯგუფისა და კომპანიისთვის არ განსხვავდება ერთმანეთისგან):

	საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი
31 დეკემბერი, 2021	6,339,919
ზრდა წლის განმავლობაში	25,315
ჩამოწერა	(6,266,067)
აღდგენა წლის განმავლობაში	(2,953)
31 დეკემბერი, 2022	96,214
ზრდა წლის განმავლობაში	29,081
აღდგენა წლის განმავლობაში	(62,092)
31 დეკემბერი, 2022	63,203

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ეროვნული ვალუტა სალაროში	23,065	5,734
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	186,733	94,041
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	148,608	931,260
ექვივალენტი	1,047	9,855
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	359,453	1,040,890

ფული და ფულის ეკვივალენტები კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისთვის შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ეროვნული ვალუტა სალაროში	22,470	5,734
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	152,418	94,041
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	148,608	931,260
ექვივალენტი	1,047	9,855
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	324,543	1,040,890

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

ფულის ბალანსი საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო, იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები სადაც კომპანიას და ჯგუფს გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ საიმედო და კარგად ცნობილ საკრედიტო ინსტიტუტებს.

12. საწესდებო კაპიტალი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს კომპანიისა და ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 57,766,471 და 46,862,428 ლარს, რომელიც 100%-ით ეკუთვნის ფიზიკურ პირ თამაზ მჭედლიძეს.

2013 წლის 4 იანვრის პარტნიორის გადაწყვეტილებით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 50,000,000 ლარით პარტნიორის მიერ კაპიტალში ნაწილ-ნაწილი შენატანების გზით, ხოლო 2023 წლის 1 იანვრის პარტნიორთა გადაწყვეტილებით, არსებული კაპიტალის გაზრდა განისაზღვრა 20,000,000 ლარით, კაპიტალში შენატანი განხორციელდება ეტაპობრივად. 2023 წელს კაპიტალში შენატანი განხორციელდა 10,904,041 ლარის ოდენობით, ხოლო 2022 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

13. მიღებული სესხები

(კომპანია და ჯგუფი)

ორგანიზაცია	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სს თი ბი სი ბანკი	27 იან. 23	10.70%	აშშ დოლარი	-	3,380,126
სს თი ბი სი ბანკი	27 იან. 23	10.87%	აშშ დოლარი	-	2,455,727
სს თი ბი სი ბანკი	27 იან. 23	10.84%	აშშ დოლარი	-	565,179
სს თი ბი სი ბანკი	27 იან. 23	9.45%	აშშ დოლარი	-	353,342
სულ, მათ შორის				-	6,754,374
ძირი				-	6,710,566
პროცენტი				-	43,808
სულ მიღებული სესხები				-	6,754,374

კომპანიამ და ჯგუფმა 2020 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ისგან 1,750,000 ამერიკულ დოლარამდე სესხებზე მიიღო 70 პროცენტის ოდენობით დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ სრულად გადაიხადა სს თი ბი სი ბანკიდან აღებული სესხი.

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	6,754,375	8,201,100
წლის განმავლობაში აღებული სასესხო ვალდებულებები	-	-
წლის განმავლობაში დაფარული სასესხო ვალდებულებები	(6,569,253)	(401,572)
წლის საპროცენტო ხარჯი	93,125	482,207
გადახდილი პროცენტი	(93,125)	(524,048)
მიღებული სუბსიდირება	-	-
კურსთაშორისი სხვაობები	(185,122)	(1,003,313)
31 დეკემბრის მდგომარეობით	0	6,754,374

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო ვალდებულებები	248,301	269,216
სხვა ვალდებულებები	16,740	3,956
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	265,041	273,172

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო ვალდებულებები	224,594	269,216
სხვა ვალდებულებები	16,740	3,956
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	241,334	273,172

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამ თვემდე.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის და ჯგუფის მიერ ლიკვიდურობის რისკის მართვის შესახებ იხილეთ შენიშვნა 22-ში.

15. მიღებული ავანსები

კომპანიისა და ჯგუფის მიღებული ავანსები ძირითადად შედგება კომპანიის მიერ გასაწევი მომსახურებებისთვის მომხმარებლებისგან წინასწარ მიღებული თანხებისგან. კომპანიის მიღებული ავანსები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის შეადგენს 526,671 და 389,656 ლარს.

16. შემოსავალი

ჯგუფის შემოსავლები შეადგენს:

	2023	2022
ბიოლი ჰოლი - რესტორანი	3,050,764	2,547,442
კოტეჯებში განთავსება	1,450,182	1,948,412
სპა/ველნეს მომსახურება	315,734	2,164,060
სხვა	157,777	143,355
სულ შემოსავალი	4,974,456	6,803,269

კომპანიის შემოსავლები შეადგენს:

	2023	2022
ბიოლი ჰოლი - რესტორანი	3,050,764	2,547,442
კოტეჯებში განთავსება	1,450,182	1,948,412
სპა/ველნეს მომსახურება	315,734	2,164,060

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა	99,862	143,355
სულ შემოსავალი	4,916,542	6,803,269

17. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის ღირებულება ჯგუფისთვის შემდეგია:

	2023	2022
ძირითადი მასალების და მომსახურების		
თვითღირებულება	1,948,717	1,574,068
პირდაპირი ხელფასი თვითღირებულებაზე	1,762,097	2,347,056
ცვეთა და ამორტიზაცია	937,870	862,835
კომუნალური ხარჯები	478,014	520,195
სულ რეალიზებული პროდუქციის	5,126,698	5,304,154
თვითღირებულება		

რეალიზაციის ღირებულება კომპანიისთვის შემდეგია:

	2023	2022
ძირითადი მასალების და მომსახურების		
თვითღირებულება	1,931,360	1,574,068
პირდაპირი ხელფასი თვითღირებულებაზე	1,762,097	2,347,056
ცვეთა და ამორტიზაცია	937,870	862,835
კომუნალური ხარჯები	478,014	520,195
სულ რეალიზებული პროდუქციის	5,109,341	5,304,154
თვითღირებულება		

18. საოპერაციო ხარჯები

ჯგუფის საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1,460,964	532,765
ცვეთა და ამორტიზაცია	363,848	172,068
გადასახადების ხარჯი	210,120	222,120
ძირითადი საშუალებების ხარჯი	187,296	210,581
მარკეტინგი	129,302	65,166
ავანსების ჩამოწერის ხარჯი	63,244	150,451
კომუნიკაციის ხარჯები	50,591	29,214
საბანკო ხარჯები	48,293	41,762
საიჯარო ქირა	31,626	-
აუდიტის ხარჯი	31,525	34,596
საკონსულტაციო ხარჯები	21,645	45,941
ოფისის ხარჯი	16,488	13,435
საჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	22,361
საეჭვო მოთხოვნების აღდგენა	(33,011)	-

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	65,473	15,266
სულ საოპერაციო ხარჯი	2,647,404	1,555,726

კომპანიის საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1,435,054	532,765
ცვეთა და ამორტიზაცია	363,848	172,068
გადასახადების ხარჯი	210,120	222,120
ძირითადი საშუალებების ხარჯი	187,296	210,581
მარკეტინგი	129,302	65,166
ავანსების ჩამოწერის ხარჯი	63,244	150,451
კომუნიკაციის ხარჯები	50,591	29,214
საბანკო ხარჯები	48,293	41,762
საიჯარო ქირა	31,626	-
აუდიტის ხარჯი	31,525	34,596
საკონსულტაციო ხარჯები	21,645	45,941
ოფისის ხარჯი	16,488	13,435
საჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	22,361
საექვო მოთხოვნების აღდგენა	(33,011)	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	58,089	15,266
სულ საოპერაციო ხარჯი	2,614,110	1,555,726

19. ზარალი საკურსო სხვაობიდან

(კომპანია და ჯგუფი)

	2023	2022
მიღებული სესხები	185,122	1,003,313
ფული და ფულის ეკვივალენტები	(72,069)	(275,187)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(29,035)	3,465
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	22,987
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	84,018	754,578

20. წმინდა არასაოპერაციო მოგება

(კომპანია და ჯგუფი)

	2023	2022
არასაოპერაციო მოგება	199,730	756,387
შემოსავალი მარაგების ზედმეტობიდან	24,208	90,427
ჯარიმა შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე	-	462,190
ჩამოწერილი ძირითადი საშუალების უკან დაბრუნება	-	202,977
ჩამოწერილი სესხის აღდგენა	173,248	-

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა არასაოპერაციო მოგება	2,274	793
არასაოპერაციო ზარალი	(68,276)	(259,849)
მცირეფასიანი მარაგების ჩამოწერა	(46,711)	(39,387)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	(171,086)
მოთხოვნების ჩამოწერა	-	(21,948)
სხვა არასაოპერაციო ზარალი	(21,565)	(27,428)
სულ წმინდა არასაოპერაციო მოგება	131,454	496,538

21. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის და ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს

- საკრედიტო რისკს,
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია და ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის და ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
--	----------	-------------------	-------------------

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	245,187	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	336,388	1,035,155
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		545,310	1,194,542

კომპანიის საკრედიტო რისკის 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	243,237	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	302,073	1,035,156
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		545,310	1,194,543

საბაზრო რისკი

კომპანია და ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას და ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია და ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის და ჯგუფის დონეზე მართვით.

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2023			
აშშ დოლარი	146,912	-	146,912
ევრო	1,612	164,057	165,669
სულ	148,524	164,057	312,581
31 დეკემბერი 2022			
აშშ დოლარი	-	-	-
ევრო	931,260	6,754,374	(5,823,114)
სულ	931,260	6,754,374	(5,823,114)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2023	2022
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	44,074	-
ევროს 30%-ით გამყარება	49,701	(1,746,934)
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(44,074)	-
ევროს 30%-ით გაუფასურება	(49,701)	1,746,934

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის და ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია და ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის და ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია და ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიას და ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის და ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია კომპანიის და ჯგუფის ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ჯგუფის ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	245,187	-	-	245,187
ფული და ფულის ეკვივალენტები	359,453	-	-	359,453
სულ ფინანსური აქტივები	604,640	-	-	604,640
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	320,514	-	-	320,514
მიღებული სესხი	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	320,514	-	-	320,514
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	284,125	-	-	284,125

კომპანიის ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	243,237	-	-	243,237
ფული და ფულის ეკვივალენტები	324,543	-	-	324,543
სულ ფინანსური აქტივები	567,780	-	-	567,780

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	296,807	-	-	296,807
მიღებული სესხი	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	296,807	-	-	296,807
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	270,973	-	-	270,973

კომპანიისა და ჯგუფის ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	159,387	-	-	159,387
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,040,890	-	-	1,040,890
სულ ფინანსური აქტივები	1,200,277	-	-	1,200,277
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	273,172	-	-	273,172
მიღებული სესხი	6,754,374	-	-	6,754,374
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,027,546	-	-	7,027,546

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირადაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირადაპირ სარგებლობენ ეს პირები. ქვემოთ, ცხრილის სახით, მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები წარმოდგენილი ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ	2,128	-
მიღებული ავანსები	საერთო კონტროლის ქვეშ	240,014	240,014
		2023	2022
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	225,277
წმინდა არასაოპერაციო მოგება		-	466,682
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში		-	691,959

შპს „მედგრუპ ჯორჯია“ მისი შვილობილი კომპანიები
 კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2023	2022
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება და სხვა განაცემები	90,376	106,081

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 31 აგვისტოს.

- 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ კაპიტალში შეიტანა 3,540,390 ლარი (1,300,000 აშშ დოლარი)

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია შპს „მედგრუპ ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 205206873) დაფუძნდა 2007 წლის 24 მაისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით;

კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძნებელს წარმოადგენს: რეზიდენტი ფიზიკური პირი - თამაზ მჭედლიძე (პ/ნ 01491005250) პროფესიით ექიმი, მედიცინის დოქტორი, რომელიც რუსეთში, კერძოდ სანქტ-პეტერბურგში ფლობს პრემიუმ კლასის კლინიკების სისტემას „მედი“.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - ქ. თბილისი, კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1. კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

კომპანიას მართავს დირექტორი. კომპანიის დირექტორი 2015 წლის 15 მარტიდან დღემდე არის თეა გადრანი. დირექტორთან ერთად გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას იღებენ აღმასრულებელი მენეჯერები: ფინანსური მენეჯერი - ნანა ცირეკიძე, კურორტის მენეჯერი - ნინო ლოლაძე, უსაფრთხოების მენეჯერი - ივანე ჩადუნელი. შპს „მედგრუპ ჯორჯია“ დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 27 ივნისიდან;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ველნეს პროდუქტების რეალიზაცია, თუმცა ამ ეტაპზე ვიდეტ სტუმრებს განთავსებაზე. ბიოლის ლოკაცია გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისთვის, როგორცაა კორპორატიული წვეულებები, კონფერენციები, ქორწილები. კომპანიის სავაჭრო ნიშანი - „Bioli“.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოების მშობელ კომპანიას (რომლებიც ერთობლივად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“):

შვილობილი საწარმოები:

- შპს „ფლაი ველნეს“, საიდენტიფიკაციო კოდი - 454407981, რეგისტრირებული 2013 წლის 2 ივლისს, იურიდიულ მისამართზე - თბილისი, დიდგორის რაიონი, სოფ. წაგვისი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილობრივი მონაწილეობა - 100%;
- შპს „ბიოლი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 454410986, რეგისტრირებული 2016 წლის 20 სექტემბერს, იურიდიულ მისამართზე - ქ. თბილისი, დიდგორის რაიონი, დაბა კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილობრივი მონაწილეობა - 100%;

მეკავშირე საწარმო:

- შპს „Georgian Wellness“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404955802, რეგისტრირებული 2012 წლის 24 აგვისტოს, იურიდიულ მისამართზე - ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზემო ვეძის ქ., №1ა-ს მოსაზღვრედ წილობრივი მონაწილეობა - 28%.

აღნიშნული იურიდიული პირებიდან, ერთ-ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „ბიოლის“ და მეკავშირე საწარმოს - შპს „Georgian Wellness“-ს დაფუძნების დღიდან დღემდე სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რაც შეეხება, შვილობილ კომპანია შპს „ფლაი ველნეს“-ს, პარტნიორების გადაწყვეტილებით 2016 წელს სრულად შემცირდა საწესდებო კაპიტალი. მის ბალანსზე ირიცხებოდა ძირითადი საშუალებები (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები), რომლის რეალიზაციაც მოხდა და მიღებული სახსრებით დაიფარა ვალდებულება პარტნიორების მიმართ. კომპანიას სხვა საქმიანობა საანგარიშო პერიოდში არ განუხორციელებია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჯგუფი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბუღალტრო პროგრამის „ბალანსის“- ს გამოყენებით.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია მსოფლიო ბაზარზე საქართველოს, როგორც პრემიუმ კლასის პროდუქტის შემქმნელის და გამყიდველის პოზიციონირება, საერთაშორისო სტანდარტების მქონე კურორტის და უნიკალური „ჯორჯიან ველნესის“ სახით.

კომპანიის დამფუძნებლის და მენეჯმენტის მიერ დასახულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. გამომდინარე იქიდან, რომ კურორტის ტერიტორია შეადგენს 31 ჰექტარს, მისი განვითარების 3 დიდი ეტაპია დაგეგმილი. მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს ღია აუზის, თერმული ზონის და შიდა გზების მოწყობის პროექტი. შემდგომი ეტაპი დამოკიდებულია საერთაშორისო კომპანიის მიერ გაკეთებულ „ფიზიოთერაპიული ანალიზი“-ზე, რომელიც შესრულების პროცესშია. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს „ჯორჯიან ველნეს“-ს შეთავაზებას მომხმარებლისთვის, ეს არის ქართული ბუნებრივი რესურსების, ფიტოდანამატების, ხალხური სიბრძნისა და თანამედროვე სამედიცინო მიღწევების სინთეზი. ამ პროდუქტზე მუშაობა ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია.

3. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

ბიოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 11 პრემიუმ კლასის კოტეჯი, ორნომრიანი დუპლექსის ტიპის აპარტამენტი „გრანდ პრემიუმ კოტეჯი“ და 2 ნომერი, სამედიცინო კომპლექსი, ივენთ ჰოლი, საკონფერენციო დარბაზი, კინეზოთერაპიის სივრცე, ავტოფარეხი, სამეურნეო და საოპერაციო საწყობი, ადმინისტრაციული ზონა აერთანებს თანამშრომლების სამუშაო ოთახებს, სასადილოს, სასერვეროს, სამრეცხაოს და საცხოვრებელ არეალს. ასევე დროებით საცხოვრებელ ზონას მშენებლობის პერსონალისთვის.

„ბიოლი“ დამფუძნებლის - თამაზ მჭედლიძის საავტორო პროექტია. თითოეული სტუმრისთვის ირჩევა ინდივიდუალური პროგრამა, რომლის შერჩევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო დიაგნოსტიკას, რომელიც ბიოლში უნიკალური მეთოდებით ტარდება. პირველ რიგში, უჯრედულ დონეზე ხდება ოქსიდაციური სტატუსის შეფასება და განისაზღვრება ორგანიზმში ტოქსინების რაოდენობა, ასევე, დგინდება სხეულში სითხის, ცხიმის, კუნთოვანი მასისა და მინერალური კომპონენტების შემადგენლობა. აღნიშნული დიაგნოსტიკისა და ანამნეზის საფუძველზე კი, სამედიცინო ჯგუფი ზუსტად განსაზღვრავს კონკრეტულ პროგრამას, რომელიც ინდივიდს გაჯანსაღებისთვის ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, იგეგმება კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც აერთიანებს ფიზიკურ აქტივობებს და სხვადასხვა ტიპის პროცედურებს. ისინი, ფუნქციონალური კვების რაციონთან ერთად, ოქსიდაციური სტრესის მოხსნისკენაა მიმართული.

ველნეს პროგრამის გავლის შედეგად შესამჩნევად მაღლდება სასიცოცხლო ტონუსი და შრომისუნარიანობა. ფიზიკური თერაპია ხელს უწყობს კუნთოვანი ქსოვილის გამაგრებას. ენდემური ფიტორესურსებით გამდიდრებული კვების რაციონი ორგანიზმში აღდგენით პროცესებს ააქტიურებს. სარელაქსაციო სპა პროცედურები და ფიზიკური აქტივობები მთის გამაჯანსაღებელ ჰაერზე აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ემოციურ ფონს, ასევე წმენდს ორგანიზმს. ტოქსინებისგან და მძიმე მეტალებისგან გათავისუფლებული სხეული ქრონიკულ დაღლილობას ეფექტურად უმკლავდება.

სტრესის მიმართ იმუნიტეტის გამომუშავება კომპლექსური მიდგომით ხდება. ორგანიზმის სრული გადატვირთვა ჰარმონიისა და სიმშვიდის განცდას განიჭებთ, რაც გარე სტრეს-ფაქტორებთან ბრძოლაში წარმატების მიღწევის გარანტიაა.

4. კომპანიის განვითარების ღონისძიებები

დღევანდელი მონაცემებით ბიოლს უკვე 40 სხვადასხვა ქვეყნის სტუმარი ეწვია. ბიოლი სტუმრების კომფორტსა და მაღალი კლასის სერვისზე ზრუნავს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით:

- კომპანიის სამეცნიერო გუნდი მუშაობს საგანმანათლებლო პროექტზე, სამაგისტრო კურსი ახალი სპეციალობისთვის „ველნეს-თერაპევტი“. აღნიშნული სპეციალობა სწორეს „ბიოლი“-ს ძალისხმევით და ეგიდით დარეგისტრირდა.
- კომპანიაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი მიმდებარე სოფლებში მცხოვრებლებს შეადგენს. კომპანიისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მოტივირებული გუნდი. თანამშრომლებს 6 თვეში ერთხელ უტარდებათ სხვადასხვა ტიპის ტრენინგი (სერვის პლუსისა და უსაფრთხოების ტრენინგები); ყოველწლიურად კონკრეტული დეპარტამენტისთვის ვიწვევთ ადგილობრივ ან უცხოეთიდან მაღალი კვალიფიკაციის ტრენერებს. კომპანიას ასევე აქვს შემუშავებული ბონუსების და წახალისების სისტემები, რომლებიც განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს სირთულიდან და ხარისხიდან გამომდინარე.
- კურორტის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 7 პოსტი 24 საათიანი კონტროლით.
- მოქმედი კურორტის ინფრასტრუქტურაში გამოყენებულია მაღალი კლასის ტექნოლოგიები, ე.წ. „ჭკვიანი სახლი“, კამერებით კონტროლდება ყველა შენობა, 2018 წელს ბიოლმა მოიპოვა საერთაშორისო კომპანიის „Sefes Hotels“-ის უსაფრთხოების სერთიფიკატი და მსოფლიოში პირველი ველნეს კურორტი გახდა ამ სტატუსით. სწრაფი ინტერნეტი უზრუნველყოფილია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით და მაღალი ხარისხის აპარატურით.
- დღემდე „ბიოლი“-ს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დარგულია 110 000 ერთეული მწვანე ნარგავი.
- კურორტზე არსებულ ყველა ძირითად შენობას აქვს მწვანე გადახურვა. თითოეული შენობის მასალები შერჩეულია ენერგოეფექტურობის ნიშნით. მკვეთრად გამორჩეული და განსაკუთრებულია ინტერიერის დიზაინი, რომლის განუყოფელი ნაწილია შიდა გამწვანება. ყველა შენობა ფაქტიურად გახსნილია და ინტეგრირებულია ბუნებასთან. უზარმაზარი ვიტრაჟების შემინვისას გამოყენებულია დაბალრემისიული და ენერგოეფექტური სამკამერიათა შუშის პაკეტები. შენობების გათბობის სისტემის 80% ელექტროენერგიაზეა, ხოლო ძირითადი საქვაბე განთავსებულია ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, საიდანაც ასევე ენერგოეფექტური სპეციალური თბოტრასით მიეწოდება ბიოლი ჰოლს გათბობა.
- კურორტის ტერიტორიაზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრომობილებით, (სულ 13 ერთეული სატრანსპორტო საშუალება). სტუმრების შიდა გადაადგილებისთვის გამოიყენება 2 ელექტროავტობუსი, 6 სმარტი, ასევე შიდა ნარჩენების, საკვების თუ სარეცხის გადასაზიდად შევიდინეთ სპეც-ელექტრომანქანები.

5. საკმანძობის ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი კომპანიის სამომხმარებლო სეგმენტი წარმოადგენს იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვს შესაბამისი ინტელექტი და შესაძლებლობა, განახორციელოს ინვესტიცია თავის დაავადებების პრევენციაში და ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი. საერთაშორისო ველნეს კონგრესის 2020 წლის მონაცემებით ველნეს მომხმარებელთა ასაკმა მნიშვნელოვნად დაიწია და წინა წელთან შედარებით ბრუნვები 8%-ით გაიზარდა.

- 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს კომპანიისა და ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს ორივე წელს 57,766,469 და 57,766,468 ლარს.

- კომპანიისა და ჯგუფის ამონაგებმა 2022 წელს შეადგინა საოპერაციო საქმიანობიდან 6,803,269 ლარი და არასაოპერაციო საქმიანობიდან 225,277 ლარი. 2021 წელს 4,082,230 ლარი და არასაოპერაციო საქმიანობიდან 6,064,893 ლარი.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2022 წელს გადახდილი აქვს 917,150 ლარი, 2021 წელს 575,883 ლარი.
- სახელფასო ფონდმა შეადგინა 2022 წელს შეადგინა 2,879,822 ლარი. 2021 წელს 1,517,882 ლარი.
- დასაქმებულთა რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 165 კაცს, 2021 წელს - 85 კაცს.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ძირითადი მომხმარებლების 67% არიან არარეზიდენტები, აქედან გამომდინარე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შეიძლება გამოიწვიოს არსებული მომხმარებლების მკვეთრი შემცირება. რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კომპანიის შემოსავალი მიზმულია დოლარის გაცვლით კურსზე, საშუალება გვაქვს დავაკომპენსიროთ კურსის ცვლილებით გამოწვეული გადახარჯვები.

ჩვენი გუნდი, საკონსულტაციო კომპანიის დახმარებით ბოლომდე აკონტროლებს კომპანიაში მიმდინარე პროცესებს, აწარმოებს კომპანიის საქმიანობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც საგადასახადო რისკებს მინიმუმამდე ამცირებს. კომპანიას საგადასახადო შემოწმება გავლილი აქვს 2018 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის მიერ 2022 წლის 31 აგვისტოს.

დირექტორი ----- /თ.გადრანი/

მთავარი ბუღალტერი ----- /მ.მეჭურჭლიშვილი/

- კომპანიისა და ჯგუფის ამონაგებმა 2022 წელს შეადგინა საოპერაციო საქმიანობიდან 6,803,269 ლარი და არასაოპერაციო საქმიანობიდან 225,277 ლარი. 2021 წელს 4,082,230 ლარი და არასაოპერაციო საქმიანობიდან 6,064,893 ლარი.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2022 წელს გადახდილი აქვს 917,150 ლარი, 2021 წელს 575,883 ლარი.
- სახელფასო ფონდმა შეადგინა 2022 წელს შეადგინა 2,879,822 ლარი. 2021 წელს 1,517,882 ლარი.
- დასაქმებულთა რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 165 კაცს, 2021 წელს - 85 კაცს.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ძირითადი მომხმარებლების 67% არიან არარეზიდენტები, აქედან გამომდინარე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შეიძლება გამოიწვიოს არსებული მომხმარებლების მკვეთრი შემცირება. რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კომპანიის შემოსავალი მიზმულია დოლარის გაცვლით კურსზე, საშუალება გვაქვს დავაკომპენსიროთ კურსის ცვლილებით გამოწვეული გადახარჯვები.

ჩვენი გუნდი, საკონსულტაციო კომპანიის დახმარებით ბოლომდე აკონტროლებს კომპანიაში მიმდინარე პროცესებს, აწარმოებს კომპანიის საქმიანობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც საგადასახადო რისკებს მინიმუმამდე ამცირებს. კომპანიას საგადასახადო შემოწმება გავლილი აქვს 2018 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის მიერ 2022 წლის 31 აგვისტოს.

დირექტორი

/თ.გადრანი/

მთავარი ბუღალტერი

/მ.მეჭურჭლიშვილი/